

## ოქმი N12

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 06 ივნისი

ქ. ოზურგეთი, 16<sup>00</sup>სთ

**ესწრებოდნენ:**

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე, მ.  
მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: კ. კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე.

არ ესწრებოდნენ: თ. ნადირიძე, ლ.ბიგვავა, თ. სალუქვაძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნ.გოგუაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მერიის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. მ. მახაროზლიძემ ითხოვა დამატებით საკითხად „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე „ნატანები“-ს მიმდებარედ ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის მოთხოვნის განხილვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი:** ნინო გოგუაძე

**თანამომხსენებელი:** გიორგი ხუროშვილი

**მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა** განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**ი. საჯაია** - მეზობელმა საკრებულომ 3 წლის წინ მოიგო ეს გრანტი. რა წარმატებები აქვთ? საკრებულოს სხდომაზე მოვიწვიოთ ნ. თავდუმაძე - პროექტის ავტორი.

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე**

**მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი მუხლობრივად.**

**აზრი გამოთქვას: ი. საჯაიამ** აღნიშნა, რომ სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიიდან არის თანხმობა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯამრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებმა თავი შეიკავეს.

**ნ. გოგუაძე** - მომავალ საკრებულოს ახლანდელმა საკრებულომ უნდა დაუტოვოს დროებითი სამუშაო წესი.

**ლ. თოიძე** - ჩვენმა კომისიამ იმუშავა ამ საკითხზე, საკითხი შემოვა ჩვენი კომისიიდან. რა აუცილებელია ამ წესის ახლა მიღება?

**ნ. გოგუაძე** - ეს არის დროებითი წესი, თქვენი ნამუშევარი კი განაშენიანების რეგულირების წესია, ვიდრე ამ წესს დავამტკიცებთ, მანამ მივიღოთ დროებითი წესი. ეს წესი სრულიად განსხვავდება თქვენი ნამუშევრებიდან. ამ საკითხზე აპელირებენ, რომ არა გვაქვს წესი მიღებული.

**ლ. თოიძე** - ჩემის აზრით გადავდოთ ამ პერიოდში ამ წესის მიღება, გავერკვევი მეც ,შევჯერდეთ და გადავწყვიტოთ.

**ნ. გოგუაძე** მიმართა იურისტს განემარტა წინააღმდეგობა ამ წესებს შორის.

ე. ჯაფარიძე - მერიამ ამ საკითხის მოგვარებისათვის საჭირო თანხები ვერ გამონახა.

ნ. ორაგველიძე - შეიძლება მერიამ ახლა გამოყოს თანხა.

ნ. გოგუაძე - ჩავაგდოთ საკითხი ბიუროზე. ჩემი ინიცირებაა პრობლემა და იმიტომ გადავდოთ?

ი.საჯაია - კი არ ჩავაგდოთ, საკითხის განხილვა გადავდოთ შემდეგი სხდომისათვის.

**დაადგინეს:** საკითხის განხილვა გადაიდოს საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომისათვის.

**დამტკიცდა ერთხმად**

4. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე „ნატანები“-ს მიმდებარედ ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

ნ. გოგუაძე - საკრებულოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროდან მოიკვლევს ლიცენზიების კოორდინაციებს.

მ. წიფწივაძე - ჩვენ ამ საკითხზე ვერ ვრიაგირებთ. სალიცენზიო ფართის შესახებ კოორდინაციები დეპარტამენტის ზედამხედველობამ არ მოგვიწოდა. საჭიროა დროებითმა სამუშაო ჯგუფმა მიმართოს სამინისტროს.

მ. მახაროზიძე - საკრებულოს სდომაზე დავადგენთ დროებით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქმნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 7 ივნისს 16 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე:**

ნინო გოგუაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა